



მედიარელიზი

თარიღი: 26.10.2017

კონტაქტი: ქეთევან ჯაჭვამე,
"სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი
ურთიერთობების ცენტრი" CCIIR
ketevanjachvadze@gmail.com
595 511 050

როგორია საქართველოში ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა დასაქმების მდგომარეობა და კარიერული განვითარების პერსპექტივები

ა/ო "სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი" CCIIR საქართველოში ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა დასაქმების შესახებ კვლევის ანგარიშს წარადგენს

26 ოქტომბერს, 15:00 საათზე, ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში (მისამართი: გუდიაშვილის 7) გაიმართება სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის CCIIR მიერ ჩატარებული კვლევის პრეზენტაცია, რომელიც საქართველოში ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების, მათი კარიერული განვითარების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შესწავლას შეეხება.

კვლევა ჩატარდა "ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის" (PITA) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის ანგარიშის პრეზენტაციას დაესწრებიან: საქართველოს განათლების სამინისტროს წარმომადგენლები უმაღლესი განათლების დეპარტამენტიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენლები, დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

CCIIR - ის კვლევა ჩატარდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (თსუ-ს, ილიაუნის, სამედიცინო, ტექნიკური და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტების მონაწილეობით) და მისი მიზანი იყო იმ პირობებისა და შესაძლებლობების შესწავლა, რომელიც დღეს არსებობს დასაქმების ბაზარზე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის. ორგანიზაცია შეეცადა გაერკვია როგორია ამ ახალგაზრდების დასაქმების გამოცდილება, დამოკიდებულება და მოლოდინები. ასევე, რამდენად აძლევს უნივერსიტეტი სტუდენტს შესაბამის პროფესიულ ცოდნასა და უნარებს და რა როლი აქვს მას ამ სტუდენტთა თუ კურსდამთავრებულთა კარიერულ დაგეგმვასა და განვითარებაში. კვლევა დაეხმარება საქართველოს განათლების სისტემას გააუმჯობესოს უმაღლესი განათლების პოლიტიკა დასაქმების ბაზართან მიმართებით.